სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

20 ოქტომბერი, 2025 წელი

წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილება N07-01/30

ბსუ-ს სარგებლობაში არსებული, სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ შენობებში (კორპუსებში), ავტომატური სავაჭრო აპარატების დასადგმელად ფართის იჯარის ფორმით გაცემაზე ადმინისტრაციის ხელმძღვანელისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, წესდების მე–10 მუხლის, ,,ბსუ-ს სარგებლობაში არსებული შენობა-ნაგებობების (კორპუსების) ნუმერაციის შესახებ“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2021 წლის 15 სექტემბრის №01-10/77 ბრძანების, ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2025 წლის წლის 16 სექტემბრის №1157778 სამსახურებრივი ბარათის, ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2025 წლის 20 ოქტომბრის სხდომის N07-02/08 ოქმისა და წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გადაწყვიტა:

1. ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს მიეცეს თანხმობა ბსუ-ს სარგებლობაში არსებული, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ფართების მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, 2 (ორი) წლის ვადით იჯარით გაცემაზე, ხსნადი ყავის და ავტომატური სავაჭრო აპარატების დასადგმელად, პირობებიანი ელექტრონული აუქციონის ფორმით შემდეგ მისამართებზე:

ა) ბსუ-ს **№1 კორპუსის მეორე სართულის დერეფანში და მესამე სართულზე ბიბლიოთეკაში** (მდებარე ქ. ბათუმში, რუსთაველი/ნინოშვილის ქ. №32/35, ს.კ. №05.23.03.004, მესაკუთრე სახელმწიფო), თითოეულ სართულზე **სამი კვ.მ. ფართი** ერთი ხსნადი ყავის და ერთი ავტომატური სავაჭრო აპარატის დასადგმელად, **სულ ექვსი კვ.მ.**;

ბ) ბსუ-ს **№2 კორპუსის მეორე და მეოთხე სართულის დერეფნებში** (მდებარე ქ. ბათუმში, რუსთაველი/ნინოშვილის ქ. №32/35, ს.კ. №05.23.03.004, მესაკუთრე სახელმწიფო), თითოეულ სართულზე **სამი კვ.მ. ფართი** ერთი ხსნადი ყავის და ერთი ავტომატური სავაჭრო აპარატის დასადგმელად, **სულ ექვსი კვ.მ.**

2. ეთხოვოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს ამ გადაწყვეტილების შესასრულებლად შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.
3. გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

4. გადაწყვეტილება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია).
5. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
6. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,
პროფესორი **ჯემალ კარალიძე**